

ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭოში ბრიტანეთში მომავალ ელჩთან, რევაზ გაჩეჩილაძესთან შეხვედრა გაიმართა

16:42 29-07-2014



ევროკავშირ-საქართველოს ბიზნესსაბჭოში (EUGBC) საქართველოს მომავალ ელჩთან დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში რევაზ გაჩეჩილაძესთან შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ურთიერთობები და პერსპექტივები განიხილეს.

"დიდი ბრიტანეთი არის ერთ-ერთი უმძლავრესი

სახელმწიფო ეკონომიკის თვალსაზრისით. მართალია, ის იგივე არ არის, რაც იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში, მაგრამ დღემდე წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს. ჩვენ ძალიან დაინტერესებული, რომ ეკონომიკური კავშირები დიდ ბრიტანეთთან, ისევე როგორც მთლიანად ევროკავშირთან, გაძლიერდეს. დღეს ქართველ ბიზნესმენებთან ვისაუბრებთ, თუ რა შესაძებლობები არსებობს ამ მიმართულებით. შემდგომში შევხვდებით უკვე ბრიტანელ ბიზნესმენებს.

მაქსიმალურად ვიქნებით დაინტერესებული, რომ შევუწყოთ ხელი მათ დაახლოებას, კონტაქტებს და რაც მთავარია, ქართული პროდუქციის გატანას ევროპულ ბაზარზე და ევროპული კაპიტალის შემოდინებას საქართველოში", - განუცხადა ჟურნალისტებს რევაზ გაჩეჩილაძემ.